KA030137189020818

№ 01-5598/ს **07 / დეკემბერი / 2018 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს ანალიტიკის, ადამიანური
რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ 2018 წლის 13-14 დეკემბერს ყაზახეთის რესპუბლიკაში, ქ. ალმათიში, დაგეგმილ სემინარში -„ევროპაში ხანდაზმულთათვის ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების ინტეგრირებული სერვისების მიწოდება“ (Workshop on integrated delivery of health and social services for older people in Europe), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მოწვევის საფუძველზე, მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეულნი არიან სოციალური დაცვის დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა და პროგრამების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ნინო ჯინჯოლავა და ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნანა კალმახელიძე.

ვიზიტთან დაკავშირებულ ხარჯებს (მგზავრობა, კვება,განთავსება) ანაზღაურებს მიმწვევი მხარე.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი ნინო ჯინჯოლავასა და ქალბატონი ნანა კალმახელიძისთვის მიმდინარე წლის 10 დეკემბრიდან 13 დეკემბრის ჩათვლით და დღიური ნორმის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

პატივისცემით,

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სოფიკო ბელქანია